ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეჩაიე ტ. მიქავა, რომელიც იბრძვის 0,5 ჰექტარზე 7 ტონა ჩაის ფოთლის მისაღებად.

165.000 ტონა ჩაისათვის!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 165 (12079) | შაბათი, 22 ივლისი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

სულ ცოტა 120 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი ივლისის ბოლოს

— ასეთია ამოცანა, ამხანაგო მეჩაიეებო!

გულითადი მილოცვები პოლონელი ხალხისადმი

ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ვ. გომულკას, ა. ზაგადსკისა და ი. ცირანკევიჩს გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშები პოლონეთის ეროვნული აღორძინების დღესასწაულის მე-17 წლისთავის გამო. დეპეშაში აღნიშნულია, რომ ორივე ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპები, ურთიერთპატივისცემა და ნდობა, საწინდარია ჩვენი ხალხების წარმატებით წინსვლისა სოციალიზმის და კომუნიზმის მშენებლობის გზით.

ჩვენი ქვეყნების ხალხები, ნათქვამია დეპეშაში, მჭიდროდ შეკავშირებულნი სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ხალხების მხარდამხარ გადაჭრით იბრძვიან ადამიანთა შორის მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, კოლონიური ბატონობის ლიკვიდაციისათვის, ყველა ერისა და ხალხის სრული თანასწორობისათვის. ისინი თანამიმდევრულად იბრძვიან მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციისა და ევროპაში მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დაუყოვნებლივ დადების გზით. სოციალიზმის ქვეყნების ურღვევი ერთიანობა, ეკონომიური და სამხედრო ძლიერება საიმედო დაბრკოლებაა ახალი ომის გამჩაღებელთა აგრესიული ზრახვების გზაზე.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. რაპაცკის. (საკდესი).

სკკპ XXII ყრილობის შეესაბამებოდეს ბრძოლა-იერიშიანი

საბჭოთა წინსვლა, საბჭოთა წინ ვიხედეოდეთ, საბჭოთა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალლონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 30 გვ. 448.

მადლობა ქართველ მსახიობებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე მოვიდა სკკპ ომსკის საოლქო კომიტეტის მდივნის წერილი. წერილში გამოთქმულია დიდი მადლობა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისადმი დიდი დახმარებისათვის ომსკის უამირის გმირთა დასვენების მოწყობაში, საქართველოს ხელოვნების ოსტატებისადმი, რომლებიც საგასტროლოდ იყვნენ იქ.

ქართველმა მსახიობებმა 25 დღის განმავლობაში გამართეს 28 კონცერტი. წარმატებით გამოვიდნენ ისინი „სიმღერის დღესასწაულზე", რომელიც 11 ივნისს გაიმართა ომსკის ოლქის უამირის უდიდეს რაიონში „რუსკაია პოლიანაში".

წერილში ნათქვამია, რომ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისა და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობების ნ. ჩაჩიბაიას, ნ. სვანიშვილის, ა. გაგუას, ი. კოკოლიას, კ. ლოლაძის, გ. პატარაიასა და სხვების გამოსვლებს უდიდესი წარმატება ჰქონდა.

თავისი გასტროლები უამირზე ქართული სცენის ოსტატთა ბრიგადამ მიუძღვნა სკკპ XXII ყრილობას. (საქდესი).

„მწვანე ოქრო" ხვავდება

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის ჩაის პლანტაციებში შარშანდელთან შედარებით უხვად მოდის „მწვანე ოქროს" მოსავალი.

სეზონის დაწყებიდან 19 ივლისის ჩათვლით აფხაზეთის მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 17.037 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს წლიური გეგმის 68,1 პროცენტია, ხოლო ნაკისრი ვალდებულების 62,4 პროცენტი.

კოლმეურნეობებს შორის უხვი მოსავლის მიღებისათვის გაჩაღებულ ლაშქრობაში თავი ისახელეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა (თავმჯდომარე უ. ქუთუბერია). ბესლახუბელებმა, რომლებიც წელს იბრძვიან იმისათვის, რომ გეგმით ნავარაუდევი 330 ტონის ნაცვლად მოკრიფონ 430 ტონა ნედლეული, 30 ივნისისათვის პირნათლად გაანაღდეს ჩაის კრეფის სამი თვის გეგმა.

ჩაის კრეფაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ ის ბრიგადები, რომლებსაც ე. უბირია, ა. წულაია, გ. ფიფია, ა. მიქია, გ. ცანავა და სხვები ხელმძღვანელობენ.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების დაწესების შესახებ

1. დაწესდეს „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდება მიენიჭებათ იმ პირებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში, ორგანიზაციულ, საშეცნიერო-საკვლევ, მეთოდურ, პედაგოგიურ მუშაობასა და სამკურნალო ფიზკულტურაში და რომლებმაც იმუშავეს ამ დარგში არა ნაკლებ 20 წლისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი.
1961 წლის 21 ივლისი.

სიტყვა შევასრულოთ!

ჩამორჩენილებს, რომლებიც უკან სწევენ, აფერხებენ რაიონისა თუ რესპუბლიკის საერთო წარმატებას.

ავიღოთ მეჩაიეობის თუნდაც ერთ-ერთი მოწინავე რაიონის მაგალითი.

ლანჩხუთის რაიონმა ივლისში გეგმით უნდა მოკრიფოს 1.940 ტონა ჩაი, 15 ივლისისათვის მოკრიფული ჰქონდა 917 ტონა, ე. ი. გეგმის შესრულება 47,8 პროცენტს უდრის. ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ რაიონის ყველა კოლმეურნეობაში მეჩაიეები ერთნაირი მონდომებით არ მუშაობენ, ხოლო რაიონის ხელმძღვანელებს აქედან საჭირო დასკვნები არ გამოაქვთ.

ამხანაგო მეჩაიეებო! მთელი დატვირთვით გამოიყენეთ ივლისის დარჩენილი დღეები „მწვანე ოქროს" საკრეფად. მიბაძეთ შუქურებს, ნოვატორებს, სისტემატურად კრიფეთ რაც შეიძლება მეტი ჩაის ფოთოლი. ტუუილად კი არ უთქვამს ხალხს, ზაფხულის ერთი დღე წელიწადს კვებავსო. სწორედ ახლა, ივლისის თვითეულ დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, და ეს არ უნდა დავივიწყოთ.

> ჩაი, რომელსაც საქართველოში აწარმოებენ, საუკეთესო ჩაია მსოფლიოში.
>
> **ნ. ს. ხრუშჩოვი.**

შრომის ზეიმი

რუსთავი. (საკ. კორ.). გუშინ დიდი ზეიმი იყო მეტალურგთა ქალაქში. პირველი ცვლა დამთავრდა. მეტალურგ ბ. მ. ქიმიკოსებმა, მეცემენტეებმა, მექანიზატორებმა და მშენებლებმა კულტურისა და დასვენების პარკში მოიყარეს თავი. აქ დანიშნულია კომუნისტური შრომის ბრიგადების შეკრება, მიძღვნილი მეორე კვარტალის შედეგებისადმი.

შეკრებაზე მოხსენებით გამოვიდა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი შ. ანთელიძე. იგი აღნიშნავს, რომ ქალაქის საწარმოთა კოლექტივებმა ბრწყინვალე წარმატება ჩოიპოვეს და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცეს რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია.

განსაკუთრებით მაღალი წარმატებები მოიპოვა ცემენტის ქარხნის კოლექტივმა, რომელსაც საქალაქო ყიურის გადაწყვეტილებით გადაეცა ქალაქის საწარმოებისათვის დაწესებული გარდამავალი წითელი დროშა.

მიიღეს რა ეს საპატიო ჯილდო, ქარხნის პარტიბიუროს მდივანმა ი. სალაძემ და კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა მ. ჩხიტუნიძემ ქარხნის კოლექტივის სახელით პირობა დადეს, რომ ძალასა და ენერგიას არ დაიშურებენ მისი შესრულებისათვის.

შეკრებაზე გამოვიდნენ კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები ა. ძამაშვილი, გ. სიგუა, რ. ბახტურიძე, ნ. კუტატაშვილი, ს. კალანდაძე და სხვები.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ახორციელებენ რა შვიდწლიანი გეგმის გრანდიოზულ ამოცანებს, რომლებიც სკკპ XXI ყრილობამ დასახა, და ჩაენენ რა კომუნისტური პარტიის მომავალი XXII ყრილობის აღსანიშნავ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში, საბჭოთა კავშირის მშრომელებმა 1961 წლის განვლილ პირველ ნახევარში მიაღწიეს ახალ წარმატებებს ეკონომიკის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლებაში.

I.

მრეწველობა

მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს მთლიანად სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და თუჯის, ფოლადის, ბევრი სახეობის ფერადი ლითონებისა და მანქანათმშენებლობის პროდუქციის, ელექტროენერგიის წარმოების, ნავთობის, ქვანახშირის, რკინის მადნის მოპოვების, მინერალური სასუქების, კალცინირებული და კაუსტიკური სოდის, ავტომობილის საბურავების, ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს, სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, ქსოვილების, ტრიკოტაჟის, ავეჯის, მოუხდელი რძის პროდუქციის, მცენარეული ზეთის, კონსერვების წარმოების წლის პირველი ნახევრის გეგმა; ვადამდე შესრულდა აგრეთვე თევზის ჭერისა და მთელ რიგ სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 8,4 პროცენტით, ხოლო საშუალო სადღეღამისო წარმოება გადიდდა 9 პროცენტით.

შვიდწლედის პირველი ორნახევარი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში სამრეწველო პროდუქცია წარმოებულია 15 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე დასახული იყო ამ პერიოდისათვის შვიდწლიანი გეგმით. შვიდწლედის ორნახევარი წლის განმავლობაში წარმოებულია იმდენივე სამრეწველო პროდუქცია, რამდენიც მიღებული იყო, შესადარ ფასებში, მთელ მეხუთე ხუთწლედში (1951-1955 წლები).

სამრეწველო პროდუქციის წარმოების ნახევარი წლის გეგმა მთლიანად და მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ და მეტმა წილმა სახალხო მეურნეობის საბჭოებმა. გეგმა მთლიანად ვერ შეასრულეს არხანგელსკის, ტიუმენის, კომის, ჩელიაბინსკის, ვოლოგდის, კიროვის, ალტაისა და დნეპროპეტროვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოებმა.

მრეწველობის ცალკეული დარგების პროდუქცია გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით შემდეგნაირად გაიზარდა: შავი და ფერადი მეტალურგია — 10 პროცენტით, სათბობისა და ენერგეტიკული მრეწველობა — 7 პროცენტით, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება — 16 პროცენტით, ქიმიური მრეწველობა — 14 პროცენტით, საშენ მასალათა მრეწველობა — 13 პროცენტით, სატყეო, ქაღალდისა და ხისდასამუშავებელი მრეწველობა — 4 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობა — 2 პროცენტით, კვების მრეწველობა — 6 პროცენტით.

ძირითად სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1961 წლის პირველ ნახევარში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	წარმოებულია 1961 წლის I ნახევარში	1961 წლის I ნახევარი პროცენტებით 1960 წლის I ნახევართან შედარებით
თუჯი — მილიონი ტონა	25,0	109
ფოლადი — მილიონი ტონა	34,9	109
ნაგლინი მილიონი ტონა	27,2	108
ფოლადის მილები — მილიონი ტონა	3,1	110
რკინის მადანი — მილიონი ტონა	57,3	111
ნავთობი — მილიონი ტონა	79,7	113
გაზი — მილიარდი კუბური მეტრი	28,8	128
ქვანახშირი — მილიონი ტონა	225	99
აქედან საკოქსავი ქვანახშირი	55,5	102
ელექტროენერგია — მილიარდი კილოვატსაათი	157	109
მინერალური სასუქები — მილიონი ტონა	7,6	112
გოგირდმჟავა — მილიონი ტონა	2,8	105
ხელოვნური და სინთეზური ბოჭკო — ათასი ტონა	121	122
ავტომობილის საბურავები — მილიონი ცალი	9,2	110
ტურბინები — მილიონი კილოვატი	4,7	103
ტურბინის გენერატორები — მილიონი კილოვატი	4,3	119
ცვლადი დენის ელექტროძრავები — მილიონი კილოვატი	10,8	114
ელექტროგაკუუმური ხელსაწყოები — მილიონი ცალი	72,1	116
ლითონსაჭრელი ჩარხები — ათასი ცალი	81,3	107
სამჭედლო-საწნეხი მანქანები — ათასი ცალი	14,8	91
ხელსაწყოები — მილიონი მანეთი	619	120
მეტალურგიული მოწყობილობა — ათასი ტონა	112	102
ნავთობგადამამუშავებელი აპარატურა — ათასი ტონა	52,9	114
ქიმიური მოწყობილობა — მილიონი მანეთი	118	113
ხაჭოვი დაზგები — ათასი ცალი	10,0	120
სამაგისტრალო თბომავლები — ცალი	721	116
სამაგისტრალო ელმავლები — ცალი	262	126
ტროლეიბუსები — ცალი	339	119
ავტომობილები — ათასი ცალი	275	107
აქედან:		
სატვირთო ავტომობილები და ავტობუსები	202	107
მსუბუქი ავტომობილები	73	108
ტრაქტორები — ათასი ცალი (ფიზიკური ერთეული)	132	111
სასოფლო-სამეურნეო მანქანები — მილიონი მანეთი	451	128
ტრაქტორის გუთნები — ათასი ცალი	72,0	89
ტრაქტორის სათესები — ათასი ცალი	71,6	131
ტრაქტორის კულტივატორები — ათასი ცალი	46,2	103
მარცვლეულის კომბაინები — ათასი ცალი	36,5	130
ტრაქტორის სათიბი მანქანები — ათასი ცალი	46,6	107
მარცვალსაწმენდი მანქანები — ათასი ცალი	4,8	57
ექსკავატორები — ათასი ცალი	7,4	129
ავტოგრეიდერები — ათასი ცალი	1,8	116
სამასალე მერქნის გამოზიდვა (კოლმეურნეობათა მიერ გამოზიდულის გარდა) — მილიონი კუბური მეტრი	129	97
ქაღალდი — ათასი ტონა	1258	106
ცემენტი — მილიონი ტონა	24,3	112
ასაწყობი რკინაბეტონისა და ბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — მილიონი კუბური მეტრი ნაკეთობა	18	123
მიფერი — მილიარდი პირობითი ფილა	1,7	115
რბილი სახურავი — მილიონი კვადრატული მეტრი	385	105
ფანჯრის მინა — მილიონი კვადრატული მეტრი	72	103
ბამბის ქსოვილები — მილიარდი კვადრატული მეტრი	2,4	99
შალის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	224	103
ხელის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	255	97
აბრეშუმის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	341	100,7
სასაცვლე ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	243	103
ზედა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	58	105
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	220	105
ყველა სახეობის საათები — მილიონი ცალი	13,1	103
რადიომიმღებები და რადიოლები — მილიონი ცალი	2,1	103
ტელევიზორები — ათასი ცალი	934	117
მაცივრები — ათასი ცალი	326	127
სარეცხი მანქანები — ათასი ცალი	583	141
საკერავი მანქანები — მილიონი ცალი	1,6	107
მოტოციკლები და მოტოროლერები — ათასი ცალი	287	107
ველოსიპედები და მოტოველოსიპედები — ათასი ცალი	1441	107
ავეჯი — მილიონი მანეთი	619	116
ხორცი (კოლმეურნეობათა მიერ წარმოებულისა და მოსახლეობის შინ წარმოებულის გარდა) — მილიონი ტონა	1,3	93
ძეხვეული — ათასი ტონა	582	94
თევზის ჭერა და ზღვის ნადირის მოპოვება — მილიონი ტონა	2,1	110
ერბო-კარაქი (კოლმეურნეობათა მიერ წარმოებულისა და მოსახლეობის შინ წარმოებულის გარდა) — ათასი ტონა	338	110
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით — მილიონი ტონა	4,5	108
მცენარეული ზეთი (კოლმეურნეობათა მიერ წარმოებულისა და მოსახლეობის შინ წარმოებულის გარდა) — ათასი ტონა	843	114
კონსერვები (სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების მრეწველობაში) — მილიარდი ქილა	1,4	116
საპონი — ათასი ტონა	766	99

(დასასრული მე-2 გვერდზე)

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

მნიშვნელოვნად გაიზარდა მძიმე მრეწველობის პროდუქციის წარმოება. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით წარმოებულია მეტი: თუჯი — 2,1 მილიონი ტონა, ფოლადი — 2,8 მილიონი ტონა, ნაგლინი — 2 მილიონი ტონა, ფოლადის მილები — 293 ათასი ტონა, რკინის მადანი — 5,9 მილიონი ტონა, ნავთობი — 9,1 მილიონი ტონა, გაზი — 6,4 მილიარდი კუბური მეტრი, ელექტროენერგია — 13,2 მილიარდი კილოვატ-საათი, მინერალური სასუქები — 823 ათასი ტონა, ლითონსაჭრელი ჩარხები — 5,3 ათასი ცალი. ქიმიური მოწყობილობა — 14 მილიონი მანეთისა, ცემენტი — 2,6 მილიონი ტონა, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — 3 მილიონი კუბური მეტრი ნაკეთობა. გადიდდა აგრეთვე ფერადი ლითონების წარმოება.

მნიშვნელოვნად გადიდდა აგრეთვე წარმოება: ტყავის ფეხსაცმლისა — 10 მილიონი წყვილით, სასაცვლე და ზედა ტრიკოტაჟისა — 11 მილიონი ცალით, ავეჯისა — 83 მილიონი მანეთით და მეტით, ტელევიზორებისა — 137 ათასი ცალით, მაცივრებისა — 69 ათასი ცალით, სარეცხი მანქანებისა — 170 ათასი ცალით, **მოუხდელი რძის პროდუქციისა — 346 ათასი ტონით, კონსერვებისა — 200 მილიონი ქილით და სახალხო მოხმარების ბეჭრი სხვა საქონლისა.**

მაშინ როცა მთლიანად მრეწველობამ წარმატებით შეასრულა გეგმა, მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს საერთო პროდუქციის, ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოების, აგრეთვე ხარისხობრივი მაჩვენებლების დავალება. თუმცა წარმოება გაიზარდა, მაგრამ მთლიანად ვერ შესრულდა ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის, კერძოდ, ორთქლისა და გაზის ტურბინების, ორთქლის და გაზის ტურბინების გენერატორების, ცალადენის ელექტროძრავების, ნავთობ-აპარატურის, ქიმიური მოწყობილობის, საქსოვი დაზგების, სამაგისტრალო ელმავლების, ტროლეიბუსების, ავტოგრეიდერების, ცემენტის, აგურის, ფანჯრის მინის, მაცივრებისა და სარეცხი მანქანების, რადიომიმღებებისა და რადიოლების წარმოების ნახევარი წლის გეგმა. არ შესრულებულა საგაზეთო და სასტამბო ქაღალდის წარმოების გეგმა.

სამრეწველო საწარმოები სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან ერთად მუშაობდნენ საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მაღალი წარმადობის ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის, ახალი მანქანების, მოწყობილობისა და ხელსაწყოების შექმნისა და გამოშვების ათვისების, აგრეთვე მოქმედი ტექნოლოგიური მოწყობილობის მოდერნიზაციისა და წარმოებიდან მოძველებული კონსტრუქციების მანქანების მოხსნის დარგში.

წარმოებიდან მოხსნილია 400-მდე სახელწოდების მოძველებული კონსტრუქციების მანქანები, მოწყობილობა და ხელსაწყოები, რომლებიც შეიცვალა უკეთესი თანამედროვე კონსტრუქციებით.

სახალხო მეურნეობის საბჭოების მანქანათსამშენებლო საწარმოებში განვლილი ნახევარი წლის მანძილზე მოდერნიზებული იყო 35 ათასზე მეტი ერთეული ლითონსაჭრელი ჩარხები, სამჭედლო-საწნეხე, სამსხმელო, ხისდასამუშაოებელი და სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობა წარმოების შემდგომი მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მოწყობილობის სიჩქარეთა ზრდისა და წარმადობის გადიდების მიზნით.

ამასთან ერთად სამრეწველო საწარმოებმა, სამეცნიერო-საკვლევმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა ვერ შეასრულეს მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, ახალი მანქანების, მექანიზმების, მოწყობილობისა და ხელსაწყოების შექმნისა და სერიული წარმოების ათვისების გეგმის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დავალებანი. მთელ რიგ საწარმოებში საკმაოდ არ მიმდინარეობდა მუშაობა მოწყობილობის მოდერნიზაციისათვის.

ტექნიკური პროგრესი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ხორციელდებოდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა აქტიური მონაწილეობით, რომლებმაც წლის პირველ ნახევარში შეიტანეს 2 მილიონ 100 ათასზე მეტი წინადადება. ამ პერიოდში სახალხო მეურნეობაში დაინერგა 1,3 მილიონზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც იძლევა 700 მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას წელიწადზე გაანგარიშებით.

მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შესრულდა. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 3,5 პროცენტით, ამასთან მრეწველობის ყველა დარგის მუშებისა და მოსამსახურეების სამუშაო დღის ხანგრძლივობა შემცირდა. სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების გათვალისწინებით შრომის საათობრივი ნაყოფიერება გაიზარდა 11 **პროცენტით.**

შრომის საათობრივი ნაყოფიერება მრეწველობის ცალკეულ დარგებში გაიზარდა: შავ მეტალურგიაში — 5 პროცენტით, ფერად მეტალურგიაში — 10 პროცენტით, ქვანახშირის მრეწველობაში — 4 პროცენტით, ნავთობმომპოვებელ მრეწველობაში — 12 პროცენტით, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში — 14 პროცენტით, ქიმიურ მრეწველობაში — 7 პროცენტით, მსუბუქ მრეწველობაში — 11 პროცენტით, კვების მრეწველობაში — 14 პროცენტით.

სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა 1961 წლის პირველ ნახევარში შესრულდა.

წარმოების ზრდის, აგრეთვე თვითღირებულების შემდგომი შეჭირების შედეგად მთლიანად სახალხო მეურნეობაში მიღებულია დაახლოებით 5 პროცენტით მეტი მოგება, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში.

მაგრამ ბევრმა სამრეწველო საწარმომ და მთელმა რიგმა სახალხო მეურნეობის საბჭოებმა ვერ შეასრულეს შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი და დაგროვების გეგმა.

II.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე ზონალური თათბირების გადაწყვეტილებათა პასუხად იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი ვადამდე შეასრულონ შვიდწლიანი გეგმის დავალებანი სოფლის მეურნეობის დარგში და გაადიდონ 1961 წელს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოდენობა.

საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. სოფლის მეურნეობის ყველა კულტურის. მათ შორის საშემოდგომო კულტურების ნათესმა ფართობებმა (1961 წლის მოსავლისათვის) შეადგინა 204 მილიონი ჰექტარი.

მარცვლეული კულტურები (მათ შორის სიმინდი სრული სიმწიფის მარცვლის მისაღებად) დათესილია 123 მილიონი ჰექტარი, ანუ 7,4 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან. ხორბალი დათესილია 2 მილიონ 773 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან, წიწმატური და ფეტვი — 785 ათასი ჰექტარით, მარცვლეული პარკოსანი კულტურები — 1 მილიონ 118 ათასი ჰექტარით მეტი.

შაქრის ჭარხლი შაქრად გადამუშავებისათვის დათესილია 125 ათასი ჰექტარით მეტი, შაქრის ჭარხალი პირუტყვის საკვებად — 757 ათასი ჰექტარით, ბამბა — 78 ათასი ჰექტარით, მზესუმზირა — 38 ათასი ჰექტარით მეტი.

სიმინდი დათესილია 25,6 მილიონი ჰექტარი, აქედან სრული სიმწიფის მარცვლის მისაღებად 7,7 მილიონი ჰექტარი ნაცვლად 5,1 მილიონი ჰექტარისა, რაც ფაქტიურად იყო აღებული შარშან მარცვლად. საკვები ჭარკოსნები დათესილია 133 ათასი ჰექტარი.

სიმინდის და მზესუმზირას მთელი ნათესების 90 პროცენტზე მეტი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და ბამბის ნათესების თითქმის 60 პროცენტი დათესილია კვადრატულ-ბუდობრივი წესით.

საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა გაიზარდა, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებიდან:

პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1961 წლის 1 ივლისისათვის.

	მილიონი სული	პროცენტი-თ 1960 წლის 1 ივლისთან შედარებით
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	**60,0**	**105**
მათ შორის ძროხა	**19,0**	**110**
ღორი	**49,1**	**109**
ცხვარი	**127,6**	**104**

1960 წლის 1 ივლისთან შედარებით **მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა 2,8 მილიონი სულით, აქედან ძროხისა — 1,7 მილიონი სულით; ღორის სულადობა გაიზარდა 4 მილიონი სულით, ცხვრისა — 4,8 მილიონი სულით. ფრინველის სულადობა გაიზარდა 7 პროცენტით.**

მოსახლეობის პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის სულადობა გასული წლის დონეზე დარჩა.

გრძელდებოდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება. სოფლის მეურნეობამ წლის პირველ ნახევარში მიიღო 87 ათასი ტრაქტორი (ფიზიკური ერთეული), ანუ 150 ათასი 15-ძალიანზე გაანგარიშებით, 43 ათასი სატვირთო ავტომობილი, 31 ათასი მარცვლეულის თვითმავალი კომბაინი, 32 ათასი მწკრივადსამკალი მანქანა, 2,7 ათასი ჭარხლის ასაღები კომბაინი, 11,5 ათასი სილოსის ასაღები კომბაინი, 1,7 ათასი ბამბის საკრეფი მანქანა, 6,6 ათასი ტრაქტორის კარტოფილსათხრელი, 48 ათასი ტრაქტორის სათიბი მანქანა, 13,8 ათასი ტრაქტორის ფოცხი, 5,9 ათასი ბულულის საწმენდი მანქანა, 4,5 ათასი წნეხ-ასაკრეფი მანქანა, 69 ათასი ტრაქტორის გუთანი, 68 ათასი ტრაქტორის სათესი მანქანა, 52 ათასი ტრაქტორის კულტივატორი და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა და მოწყობილობა. სოფლის მეურნეობამ მიიღო 6 პროცენტით მეტი მინერალური სასუქები, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში.

III.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტის მიერ ტვირთზიდვის გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	შესრულება 1961 წლის I ნახევარში	1961 წლის I ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი	1961 წლის I ნახევარი პროცენტებით 1960 წლის I ნახევართან შედარებით
ტვირთბრუნვა — მილიარდი ტონა-კილომეტრი			
რკინიგზის ტრანსპორტი	771,5	102	105
საერთო სარგებლობის			
სამდინარო ტრანსპორტი	37,7	92	98
საერთო სარგებლობის			
საავტომობილო ტრანსპორტი	12,9	99,3	114
ნავთობსადენი ტრანსპორტი	28,4	103	115
ტვირთზიდვა — მილიონი ტონა			
რკინიგზის ტრანსპორტი	976,5	102	106
საერთო სარგებლობის			
სამდინარო ტრანსპორტი	83,0	94	99
საერთო სარგებლობის			
საავტომობილო ტრანსპორტი	813,3	99,6	115
გადაჭარბული ნავთობსადენი ტრანსპორტით	69,0	102	112

საზღვაო ტრანსპორტმა საკაბოტაჟო ნაოსნობის ტვირთბრუნვის გეგმა შეასრულა 106 პროცენტით, საზღვარგარეთ ნაოსნობის ტვირთბრუნვის გეგმა — 108 პროცენტით; ყველა სახეობის ნაოსნობის ტვირთბრუნვა გადიდდა 25 პროცენტით და ტვირთზიდვა 5 პროცენტით.

საჰაერო ტრანსპორტით მგზავრების გადაყვანა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 28 პროცენტით, ხოლო ტვირთზიდვა — 16 პროცენტით.

გადიდდა ელმავლისა და თბომავლის წევაზე გადაყვანილი რკინგზის ხაზების სიგრძე. რკინიგზების ტვირთბრუნვა, შესრულებული ელმავლისა და თბომავლის წევით, გასულ ნახევარ წელს გადიდდა 26 პროცენტით. ელმავლისა და თბომავლის წევით შესრულებული ტვირთბრუნვის ხვედრითმა წონამ შეადგინა რკინიგზების საერთო ტვირთბრუნვის 50 პროცენტი.

რკინიგზის ტრანსპორტმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა უმნიშვნელოვანესი ტვირთების — ქვანახშირის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, მადნის, შავი ლითონების, პურეული ტვირთების გადაზიდვის გეგმა, ვერ შესრულდა ხე-ტყის გადაზიდვის გეგმა.

შესრულებულია რკინიგზის ტრანსპორტის მოძრაკი შემადგენლობის გამოყენების ძირითადი მაჩვენებლების — სატვირთო ვაგონის ბრუნვის დროის შემცირების, სატვირთო მატარებლების წონის, მოძრაობის საუბნო (კომერციული) სიჩქარის გადიდების დავალებანი, გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების გეგმა.

გაუმჯობესდა გემების გამოყენება საზღვაო ტრანსპორტზე, აგრეთვე საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის გამოყენება.

ამავე დროს ცალკეულმა რკინიგზებმა ვერ შეასრულეს ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ტვირთის გადაზიდვისა და მოძრავი შემადგენლობის გამოყენების მაჩვენებლებით დადგენილი დავალებანი. ბევრ სამრეწველო საწარმოში დაშვებულია ვაგონების დაწესებულ ნორმაზე მეტად დაყოვნება დატვირთვისა და გადმოტვირთვის დროს. საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტზე იყო გემების მნიშვნელოვანი უნაყოფო დგომა, ხოლო საავტომობილო ტრანსპორტზე ჯერ კიდევ დიდია ავტომობილების მოცდენა და ავტომობილების გარბენა უტვირთოდ.

IV.

კ ა პ ი ტ ა ლ უ რ ი მ შ ე ნ ებ ლ ო ბ ა

კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ სახელმწიფო გეგმით გამოყოფილი სახსრების ხარჯზე შეადგინა 12,2 მილიარდი მანეთი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 8 პროცენტით გაიზარდა. ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 89 პროცენტით, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 93 პროცენტით.

მნიშვნელოვანი დაბანდებანი — 1,5 მილიარდ მანეთზე მეტი განხორციელდა საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა არაცენტრალიზებული სახსრებით. გარდა ამისა, დიდი კაპიტალური დაბანდებანი განახორციელეს კოლმეურნეობებმა.

გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით კაპიტალური დაბანდებანი გაიზარდა: ქიმიურ მრეწველობაში — 12 პროცენტით, შავ და ფერად მეტალურგიაში — 10 პროცენტით, ნავთობისა და გაზის მრეწველობაში — 11 პროცენტით, ელექტროსადგურების მშენებლობაში — 2 პროცენტით, აქედან თბოელექტროსადგურების მშენებლობაში — 11 პროცენტით, მანქანათმშენებლობაში — 15 პროცენტით, საშენ მასალათა მრეწველობაში და სამშენებლო ინდუსტრიაში — 9 პროცენტით, მსუბუქ მრეწველობაში — 16 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 19 პროცენტით, რკინიგზის ტრანსპორტში — 4 პროცენტით.

საიჯარო ორგანიზაციებმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 96 პროცენტით შეასრულეს და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით სამუშაოთა მოცულობა 9 პროცენტით გადიდეს.

მშენებლობაში ფართოდ იყენებენ ინდუსტრიულ მეთოდებს, გადიდდა აწყობის დონე შენობათა აგების დროს, გაიზარდა იმ სამუშაოთა მოცულობა, რომლებსაც სახლსამშენებლო კომბინატები ასრულებენ, გრძელდებოდა მუშაობა სამშენებლო ორგანიზაციების შემდგომი გამსხვილებისა და სპეციალიზაციისათვის. ამასთან ერთად მშენებლობის ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. სახალხო მეურნეობის საბჭოები, სამინისტროები, საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების სწორ, უფრო ეფექტიან გამოყენებას, ურიგდებიან სახსრების დაქსაქსვას ბევრ ობიექტზე. ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები არ სრულდება. მშენებლობებზე არსებულ მანქანებსა და მექანიზმებს სრული სიმძლავრით ვერ იყენებენ. მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მშენებლობის ხარისხს, რის შედეგადაც ხდება შესრულებული სამშენებლო სამუშაოების გადაკეთება.

გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში გაიზარდა 4 პროცენტით, ხოლო საათობრივი — 16 პროცენტით. ამავე პერიოდში სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება შემცირდა 0,5 პროცენტით. მაგრამ ბევრმა სამშენებლო ორგანიზაციამ ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა და სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალება.

V.

ხ ა ლ ხ ი ს მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი კ ე თ ი ლ დ ღ ე ო ბ ი ს გ ა უ მ ჯ ო ბ ე ს ე ბ ა დ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს კ ულ ტ უ რ უ ლ ი დ ო ნ ი ს ა მ ა ღ ლ ე ბ ა

მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში 4 მილიონ 200 ათასით მეტი იყო, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში.

მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობის საწარმოებში მუშების, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების რიცხვი გადიდდა 1 მილიონ 900 ათასით, საბჭოთა მეურნეობებში — 1 მილიონით. სკოლებისა და სხვა სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამკურნალო და სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების მუშაკთა რიცხვი გაიზარდა 800 ათასით, ვაჭრობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკებისა — 500 ათასით.

სკკპ XXI ყრილობის გადწყვეტილებათა შესაბამისად შარშან ძირითადად დამთავრდა მრეწველობის მუშათა და მოსაქსახურეთა ხელფასის მოწესრიგება, აგრეთვე განხორციელდა მშენებლობის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტის, გეოლოგიურ-სადაზვერვო ორგანიზაციებისა და სახალხო მეურნეობის ზოგიერთი სხვა დარგის მუშაკთა ხელფასის მოწესრიგება. **გასულ ნახევარ წელიწადში ხორციელდებოდა** საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშათა და მოსამსახურეთა, რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკთა, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის სამრეწველო საწარმოებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკთა ხელფასის მოწესრიგება.

მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ფულადი ხელფასი 1960 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 4 პროცენტით, აქედან მრეწველობისა და მშენებლობაში — 5 პროცენტით, ამასთან შემცირდა სამუშაო დღის ხანგრძლივობა.

გაიზარდა მოსახლეობის მოხმარება საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე, გასულ ნახევარ წელიწადში სახალხო განათლებაზე, სამედიცინო მომსახურებაზე. სოციალურ უზრუნველყოფაზე, შვებულებათა ანაზღაურებასა და სხვადასხვა შემწეობასა და შეღავათზე სახელმწიფომ დახარჯა 13 მილიარდ მანეთზე მეტი, ანუ 1 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე 1960 წლის პირველ ნახევარში.

ნახევარი წლის განმავლობაში 31 მილიონმა კაცმა გამოიყენა მორიგი შვებულება, რაც ყოველწლიურად ეძლევა ყველა მუშასა და მოსამსახურეს ხელფასის შენარჩუნებით.

შემდგომ იზრდებოდა შემნახველ სალაროებში მოსახლეობის ანაბრები, რომლებმაც 1961 წლის 1 ივლისისათვის მიაღწიეს თითქმის 17,5 მილიარდ მანეთს.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საერთო მოცულობამ ნახევარ წელიწადში შეადგინა 37,5 მილიარდი მანეთი. **გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით საქონელბრუნვა გადიდდა, შესადარ ფასებში, 3,5 პროცენტით.** წლის პირველი ნახევრის საცალო საქონელბრუნვის გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა. ამავე პერიოდში საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა გაიზარდა 5,1 პროცენტით, ხოლო ნახევარი წლის გეგმა შესრულდა 101,5 პროცენტით.

სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ სასურსათო საქონლის გაყიდვამ ადგილობრივ ბაზრებზე შექმნილ ფასებში შეადგინა 393 მილიონი მანეთი და 1960 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 3,5 პროცენტით.

სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ცალკეულ სახეობათა საქონლის გაყიდვა შეიცვალა შემდეგნაირად:

	გაიყიდა 1961 წლის I ნახევარში 1960 პროცენტებით	1961 წლის I ნახევარი ფასებით (მილიარდ ფასებში)
ხორცი და ხორცის პროდუქტები		**93**
თევზი, ქაშაყი და სხვა თევზპროდუქტები		**107**
ერბო-კარაქი		**104**
მცენარეული ზეთი		**108**
რძე და რძის პროდუქტები		**108**
ყველი		**114**
კვერცხი		**117**
შაქარი		**110**
საკონდიტრო ნაწარმი		**103**
ჩაი		**104**
ბოსტნეული		**114**
ხილი		**108**
ბამბის ქსოვილები		**91**
შალის ქსოვილები		**102**
აბრეშუმის ქსოვილები		**100**
სელის ქსოვილები		**101**
ტანსაცმელი და საცვლები		**107**
ტრიკოტაჟის ნაწარმი		**103**
წინდები		**107**
ტყავის ფეხსაცმელი		**111**
ფაიფურ-ქაშანურისა და მინის ჭურჭელი		**108**
ავეჯი		**120**
საპონი		**102**
საკერავი მანქანები		**107**
მაცივრები		**131**
სარეცხი მანქანები		**127**
მტვერსასრუტები		**112**
ყველა სახეობის საათები		**100**
მოტოციკლები და მოტოროლერები		**109**
ველოსიპედები და მოტოველოსიპედები		**90**
რადიომიმღებები და რადიოლები		**98**
ტელევიზორები		**118**
მსუბუქი ავტომობილები		**109**

მოსახლეობის მოთხოვნილება ზოგიერთ სასურსათო და არასასურსათო საქონელზე მთლიანად როდი კმაყოფილდებოდა, ცალკეული სახალხო მეურნეობის საბჭოები და სამრეწველო საწარმოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ გამომუშავებული საქონლის ხარისხისა და მისი ასორტიმენტის გაუმჯობესებას, რის შედეგადაც მთელ რიგ შემთხვევებში საჯაჭრო ქსელს ეგზავნებოდა საქონელი, რომელიც არ შეესაბამებოდა მოსახლეობის მოთხოვნილებას.

საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 1961 წლის პირველ ნახევარში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 2 პროცენტით.

მიღწეულია შემდგომი წარმატებანი სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონის შესაბამისად გრძელდებოდა მუშაობა ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის, უმაღლესი და სამუალო სპეციალური განათლების გარდაქმნისათვის.

მოსწავლეთა რიცხვი ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში, მათ შორის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის, მოზარდთა სკოლების მოსწავლეთა რიცხვი მიმდინარე სასწავლო წელს შეადგენდა 36 მილიონ კაცს ნაცვლად გასული სასწავლო წლის 33 მილიონისა. 1961 წელს საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლა დაამთავრა და სიმწიფის ატესტატი მიიღო ერთმა მილიონმა კაცმა.

გრძელდებოდა სკოლა-ინტერნატების ქსელის გაფართოება. 1961 წლის პირველ ნახევარში ჩვენს ქვეყანაში იყო 1.990 სკოლა-ინტერნატი, რომლებშიც სწავლობდა 590 ათასზე მეტი კაცი.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები მიმდინარე წელს გამოუშვებენ 750 ათას ახალგაზრდა სპეციალისტს, მათ შორის თითქმის 320 ათასს უმაღლესი სასწავლებლები და 430 ათასზე მეტს საშუალო სპეციალური სასწავლებლები.

გაიზარდა სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი. 1961 წლის დამდეგს ჩვენს ქვეყანაში იყო 3.828 სამეცნიერო დაწესებულება, მათ შორის 1.729 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, მათი ფილიალები და განყოფილებები. ყველა მეცნიერ მუშაკთა საერთო რიცხვი ჩვენს ქვეყანაში შეადგენს 354 ათასზე მეტ კაცს, აქედან 109 ათასზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატია.

წლის პირველ ნახევარში ჩვენი ქვეყნის კინოსტუდიებმა დაამთავრეს 62 ახალი სრულმეტრაჟიანი მხატვრული, ქრონიკალურ-დოკუმენტალური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმის წარმოება. კინოდანადგარების რიცხვი ნახევარი წლის დამლევისათვის შეადგენდა 108 ათასზე მეტს და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა თითქმის 10 ათასით. კინოსეანსებზე დასწრების რიცხვი ნახევარ წელიწადში აღემატება 1 მილიარდ 900 მილიონს და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 100 მილიონით და მეტით გადიდდა.

დიდი მასშტაბით ხორციელდებოდა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული სახსრებით საექსპლოატაციოდ გადაეცა 15 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. გარდა ამისა, აშენდა ბევრი საცხოვრებელი სახლი სახელმწიფო გეგმის გადამეტებით არაცენტრალიზებული სახსრების ხარჯზე. გადიდდა ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების საექსპლოატაციოდ გადაცემა, მაგრამ საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლის პირველი ნახევრის გეგმა არ შესრულებულა.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება, ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ზრდაზე. **სსრ კავშირის მოსახლეობა 1961 წლის 1 ივლისისათვის შეადგენდა, წინასწარი მონაცემებით 218 მილიონ კაცს.**

* * *

1961 წლის პირველი ნახევრის შედეგები იმას მოწმობენ, რომ წარმატებით მიმდინარეობს შვიდწლიანი გეგმის შესრულება, მოწმობენ სახალხო მეურნეობისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო



ვ ა რ შ ა ვ ა ტ ა ფ ს უ კ რ ა ვ ს გ ა ბ ა რ ი ნ ს

ვარშავა, 21 ივლისი. (საკუთარი). გუშინ ნაშუადღევს საბჭოთა სტუმარი ათვალიერებდა ვარშავას. პოლონეთის დედაქალაქის მცხოვრებნი ყველგან გულითადად მიესალმნენ თავიანთ სტუმარს.

საღამოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ზავადსკიმ ბელვედერში ვახშამი გამართა ი. ა. გაგარინის პატივსაცემად. ვახშამმა ჩაიარა გულითადი ეითარებაში.

ა. ზავადსკიმ საბჭოთა კოსმონავტ ი. ა. გაგარინს გადასცა პირველი ხარისხის გრუნვალდის ჯვარი, რომლითაც იგი დაჯილდოვა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ.

კ ი ნ ო ფ ე ს ტ ი ვ ა ლ ი ს ე კ რ ა ნ ე ბ ზ ე



მ ო ს კ ო ვ ი, 20 ივლისი. (საკუთარი). ახლო წარსულის ამბები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს რუმინეთისა და უნგრეთის ისტორიაში, საფუძვლად დაედო გუშინ საღამოს გასინჯვაზე ნაჩვენებ ფილმებს.

სადღაც შორს რუმინეთის პატარა სოფელ დელენიდან გრიალებენ ომის უკანასკნელი ზალპები. აქ კი უკვე მოვიდა მშვიდობა და მასთან ერთად ადამიანთა შეგნება, რომ არ შეიძლება ძველებურად ცხოვრება.

ასეთია ძირითადი აზრი ფართოეკრანიანი მხატვრული ფილმის „წყურვილისა“, რომელიც აჩვენეს რუმინელმა კინემატოგრაფისტებმა.

წელს გამოვიდა ფილმი „ალბა რეგია“, რომელიც უნგრეთის კინემატოგრაფისტებმა წარუდგინეს ჟიურის. ამ ფილმს საფუძვლად დაედო ნამდვილი ამბავი საბჭოთა რადისტი ქალიშვილისა (მის როლს ტ. სამოილოვა ასრულებს), რომელიც უნგრეთის განთავისუფლების დღეებში დაკავლებით დარჩა ჯერმანელთა მიერ დროებით დაპყრობილ ქალაქში.

მოკლემეტრაჟიანი ფილმების საღამოს გასინჯვაზე განსაკუთრებული ინტერესით შეხვდნენ აფრიკის ახალგაზრდა კინემატოგრაფიის ნაწარმოებებს. შეკრებილნი გულითადად მიესალმნენ მალისა და გვინეის დელეგატებს.

განსაკუთრებით გულთბილად მიიღეს ფილმი „გვინეელი ხალხი კინოგში აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში“, რომელიც გადაიღეს გვინეის კინემატოგრაფისტებმა. ამ ფილმში მათ აღბეჭდეს აფრიკელი ხალხის გამოჩენილი შვილი პატრის ლუმუმბა პრეზიდენტ სეკუ ტურესთან მისი ვიზიტის დროს.

საინტერესო რეპორტაჟული სურათი „ჩანაწერები ემიგრაციის შესახებ. ესპანეთი, 1960 წელი“ წარმოადგინეს შვეიცარიის კინომუშაკებმა.

* * *

მოსკოვის მეორე საერთაშორისო კინოფესტივალი დიდი და ღირსშესანიშნავი მოვლენაა მსოფლიო კინოხელოვნების ისტორიაში, კინოს ყველა მოღვა

ვაჟა — ჩვენი სამაყე

სიკეთის მგალობელი

მშრომელი ხალხი — ერთადერთი წარმმართველი ძალა ცხოვრებისა — მწერლისაგან ყოველთვის მოითხოვდა, რომ ნიჭიერებასთან ერთად დიდი მოქალაქეობაც გამოემჟღავნებინა. მოქალაქეობას მოკლებული მწერლის ნიჭს ხალხი ყოველთვის ისე მიიჩნევდა, როგორც ტალახში ჩაგდებულ ოქროს, ხალხს ყოველთვის ის ხიბლავდა და ატყვევებდა, რომ მწერალში, და, რა თქმა უნდა, ყველა სახის შემოქმედში, მაღალი ზნეობის ადამიანს, დიდ მოქალაქეს შეიცნობდა.

ვაჟა-ფშაველას ნიჭის ელვარება ისევე თვალსაჩინოა ყველასათვის, როგორც მზის შუქი, მის ცხოველმყოფელ სითბოს ისევე გრძნობთ. როგორც მზის სხივებისას. შესაძლებელია ასევე თვალსაჩინო არ იყოს მკითხველებისათვის ამ ნიჭიერების გამომშუქებელი ძალა—ვაჟას მაღალი ზნეობა. დიდი მოქალაქეობა, და ამის გამო ამ წერილში მხოლოდ ვაჟას მოქალაქეობაზე გვექნება საუბარი.

ვაჟა რომ ცხოვრებაში ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ ჩებრძოლი ადამიანი იყო, ამაზე მისი ერთი ბრწყინვალე ლექსი „გულო, არ გასტყდე!“ მეტყველებს. აი ვაჟას პორტრეტი ამ ლექსიდან:

გამშორდი, სულით სიდაბლევ,
გზაო, მაშინებ ველარა,
იმ თავად, ჩემო სავალო,
შენზე ეკალი ეყარა.
გაკაწრულ-გაფხაჟულები
დღესაც ისევ მჭირს ბევრგანა.

განაწამები ჩანს ამ ლექსში ვაჟა; გულმკერდზე, სახეზე სისხლიანი იარები მოუჩანს, თითქოს ტანისამოსშემოფლეთილი და ფეხშიშველაც არის, ამ პორტრეტს იქით კი გალაღებული და მდიდრულად მორთული ადამიანები გვეზმანებიან; პირველი საყვარელ ადამიანად გვესახება, მეორენი — საძულველ ადამიანებად; მათდამი ჩვენი ამგვარი დამოკიდებულება ლექსის სტრიქონმა „გამშორდი, სულით სიდაბლევ!“ განაპირობა, ვინაიდან გვაგრძნობინა, რომ პირველი — სულით მაღალი ადამიანია, მეორენი კი — სულმდაბალნი.

ვინ მიიჩნდა ვაჟას სულდაბალ ადამიანებად, ცხოველებად? — ყველა ისინი, რომელნიც მხოლოდ პირადი ბედნიერებისათვის ზრუნავენ, რომელნიც მცონარეობით ცხოვრობენ, რომელნიც ქვეყნის ბედნიერებისათვის ზრუნვაში წელს არ დიდებენ და მხოლოდ ეგოისტური მიზნები ამოძრავებთ. იმის დასადასტურებლად, რომ სწორედ ამგვარ ადამიანებს ებრძოდა ვაჟა ცხოვრებაში, მოვიყვანთ სტრიქონებს ლექსიდან „კაი ყმა“.

აი, ვინაა კაი ყმა,
მოსაგონარი ქებითა!
არა, თქვენ, საფიანცენო,
რო ძროხებივით სძღებითა;
ღამე მაძღერები დასწვებით,
დილით მშივრები სდგებითა;
თავის ჯაბს ჩასცქერთ,
საქვეყნოდ
არც როს არ გამასდგებითა,
თავისად სცოცხლობთ, მცონარედ,
ლეში ალაღოთ, ჰკვებდითა;
გაიგებთ კარგის გარჯასა,
გწყინსთ და შურითა ხდებითა;
უქმად ჩაჰმალევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლაგში სწვებითა.
დაჰკარგავთ საქმაოსა,
ვერც საიქოს სწვდებითა.
არ იცით, დასჩნდით რისადა,
ან რისათვისა ჰკვდებითა!

ვაჟას სწორუპოვარ მოქალაქეობას უფრო მეტი სიღიადით ამყოვანებს ლექსი „ჩემი ვედრება“. ცხოვრების პროგრამა, ვედრების ფორმაში მოქცეული, მრავალ მწერალს გამოუქვეყნებია მსოფლიო ლიტერატურაში; ამგვარი ლექსები ანთებულ სანთლებს ჰგვანან. მაგრამ ამ ეხრივ ყველაზე დიდი სანთელი მსოფლიოს პოეზიის ტაძარში შეიძლება ვაჟასი იყოს. დავუკვირდეთ ლექსში გამოხატულ ზრახვებს პოეტისას და მივხვდებით, თუ რა ალაპლაპებს ამ ლექსს:

ღმერთო, მიიღე ვედრება,
ეს ჩემი სათხოვარია:
არ დამეკარგოს გულიდან
მე შენი სახსოვარია!

გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრკელადა;
ვფხიზლობდე, მუდამ
მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა.
ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა
ცხვრადვე მამყოფე ისევე,
ოღონდ ამფორდეს მგელობა;
არ წამიხდინო, მეუფევ,
ეს ჩემი წმინდა ხელობა!
მაშრომე საკეთილოდა,
თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი,
შვილთ საგმოდ არ გამიხადო
ჩემი მუდმივი სამყოფი.

შენი მუდმივი სამყოფი ქართველი ხალხის გულია, დიდო ვაჟავ! ამ მხრივ ბედნიერი ხარ, ვინაიდან იქ სხვა ვერვინ შეაღწევს, ბინას სხვა ვერვინ დაიდებს, თუ არა ერის რჩეული, თუ არა ღირსეული!..

ვაჟა ადამიანთა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებს, მანკიერებას კი არ ებრძოდა მარტო, არამედ თვით იძლეოდა ადამიანის უმწიკვლოდ ცხოვრების მაგალითებს. სწორედ ამის გამო აქვს ნათქვამი:

როს ვუკვირდები თავისთავს
და არ ვემდური მეტადა:
მადლს დავთვლი ათასობითა,
ცოდვა სამ რჩება კენტადა.

ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი.

* * *

შემთხვევითი არ იყო, რომ ლიტერატურულ საღამოებზე ვაჟა თურმე ამ ლექსს „როს ვუკვირდები თავისთავს“ კითხულობდა ხშირად; ამ ლექსის საჯაროდ კითხვა ვაჟას უთუოდ იმის გამო უყვარდა, რომ ის მისი ერთ-ერთი ავტოპორტრეტი იყო და თანაც ადამიანებს მომხიბვლელი ზნეობრივი სისპეტაკისკენ მოუწოდებდა. ვაჟას ნათქვამი აქვს:

მხრები მესხმება, ვიზრდები,
ცად ვიწევ ასაფრენადა;
გაჩნდება სითოლაც ნათელი,
გულს ჩამიდგება სვეტადა.
ზღვავდება მწყობრი სიტყვები
ქაღალდზე დასაბეჭდადა:
მთრთიან გულის სიმები
სიამოვნების ღმერთადა.

ამ ლექსში მორალურად სპეტაკი ადამიანის ზეიმია, ამ ლექსში ვაჟა თავს ისე გრძნობს, როგორც ფრინველი ჰაერში, იქ ნავარდობს, ნეტარებს:

კალთაში ვარდი მეშლება,
თავზე მანანა დამდისა.
მადლობელი ვარ მშობლისა,
ჩემის გაჩენის, გაზრდისა.

პირადი ბედნიერებისათვის მზრუნავ ეგოისტებს, მდიდარ „ობივატელებს“ თავი ამაყათ ეჭირთ ვაჟას მიმართ. ვინ იცის, ისინი ვაჟასაგან ალბათ პატივისცემასაც მოითხოვდნენ. ვაჟა კი ასეთ ადამიანებს ზიზღს უცხადებდა, არარანი ხართო, ეუბნებოდა. ამას გვიდასტურებს მისი პატარა ლექსი „მე რო ტირილი მეწადოს“.

მეტირებაო, როდესაც ვაჟა ამბობს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქვეყნის ბედი მაწუხებს, მასზე ვგოდებ და ვვალობო. ამ ლექსში ერთნი შეწუხებულნი არიან ქვეყნის ჭირ-ვარამით, მეორენი— არაფერს დაგიდევენ და ლაღობენ. მაგრამ თუ ვინ ყოფილა დიდების ღირსი, ამას ლექსი გვეუბნება ძალზე ემოციური სტრიქონების წყალობით:

მე რო ტირილი მეწადოს,
თქვენ ვის რა გინდათ, ნეტარა?
ერთი იცინის, სხვა სტირის:
ესეთი არი ქვეყანა.
ვისაც არ მოგწოდნთ ტირილი,
ის ნუ დასჯდებით ჩემთანა:
მტირალის სტვირის პატრონი
ფეხს როგორ გავსწვდი თქვენთანა,
მაგრამ გაიგებთ, ერთხელაც,
ვინ ახლოს ვდგევართ
ღვერთთანა.

ეს ლექსი ვაჟას დაუწერია 1886 წელს, ოცდახუთი წლის ყმაწვილს; ხოლო ლექსები „როს ვუკვირდები თავისთავს“ და „კაი ყმა“ — სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. ამ გარემოებას იმის გამო გავუსვამ ხაზი, რომ ხალხის სამსახური, ხალხის ბედისა და უბედობის გამო მღელვარება იყო ვაჟას ! შემოქმედების დამახასიათებელი თვისება სიცოცხლის დასაწყისიდან დასასრულამდე; სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

განა მხოლოდ ამ ლექსებში გამომჟღავნა ვაჟამ თავისი დამოკიდებულება ანტისაზოგადოებრივი ადამიანებისადმი? განა მხოლოდ ამ ლექსებით ვეცნობით ვაჟას, როგორც დიდებულ მოქალაქეს? არა, აქვ-გვარ მორალურ მრწამსს ვაჟა სხვა ლექსებშიც გვაცნობს, აი, მაგალითად:

დამხეტხვე, ცოო დამხეტხვე,
აქა ვარ ჩემის თავითა,
გულითა გაუტეხელი,
მოუდალავი ძალავითა,
რაც უნდა ბერი მომაკვრძო,
ბილწით არ შევეკვრი ზავითა;
მცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზავებულის ავითა!

ვაჟას პოეზიის გზაზე ამგვარი ლექსები ფესვმაგარი მეხებივით შრიალეთ. ჩვენ ახლოდან იმათ მევეხეთ, როველთა ქვეშ შევიერდთ, როველებიც მოვირდღეთ,

მწერლის, ე. ი. მაღალი იდეალებით მცხოვრები მოქალაქის, განცდები აინის ნიადაგი ჭეშმაოიტი მხატვრული ნაწარმოებების აღმოსაცენებლად, აბაზე თვით ვაჟა ძოგვითხრობს თავის ერთ-ერთ თეორიულ წერილში; „მკითხველი ახლოდან მაშინ წამოიძახებს პოეტის ნაწარმოებზე: „რა კარგია, რა ამგენიერებააო“, როცა სურათი, რომელიც მან დახატა, ისეთ სულიერს ტკივნებს აგრძნობინებდა მწერალს, როგორც ფიზიკური ტკივილი გულისა, თავისა, მთელის სხეულისა; ეს კი მოხდება მაშინ, როცა გულში მოხარშული სურათი ჩუმად მუჯლუგუნებსა სცემს პოეტს: „ჩქარა, ქაღალდი და კალამი, დამხატე, გაიცანი ჩემი თავი ადამიანთაო“. ცხადია, ამგვარ განცდებს მოკლებული მწერალი, ოდგორც არ უნდა მოიძარჯვოს სალექსო ტექნიკა, ისევე ვერ შექმნის ლექსებს, როგორც ვერ აღძოაცენებს მცენაიეებს უდაბნო,

იმავე წერილში, მეორე ადგილას, ვაჟა შთამაგონებლად ფენიანავს: „წინდაწინვე განსაზღვრა ფორმისა ნამდვილი პოეტისათვის ყოვლად შეუძლებელია, ფორმა უნდა მოპყვეს თვით ნაგრძნობს და

ააზრევს, ნამდვილად ნაგრძნობს საგანს და ააზრევს თან ძოპყვება ფორმა. როცა კი მწერალი კალამს ხელს მოჰკიდებს და ფორმის წინასწარ პლანის შედგენას, ძალდატანებას თვით შეუდგება, ხაწარმოების სისუსტის მომასწავებელია“.

აი რა დიდებულად თქვა, რა ბრწყინვალე ფორმა ძოუსახა თავის ნაგრძხობს დიდძა მწერალმა თეორიული ხასიათის წერილშიც!

ვაჟას მრავალი უკვდავი პატრიოტული ლექსი აქვს შექმნილი; სხვებს რომ თავი დავანებოთ, მარტო „ბაკურისა“ და „დიდი თამარის“ გახსენება გაგვიხარებს გულს; ეს ორი ლექსი მზის ორი ნათელი სვეტივით ელვარებს, მათ ბრწყინვალება არასდროს არ მოაკლდებათ.

პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ ლექსებს შორის მხოლოდ ამ ლექსებს მიმოვიხილავთ, რომელნიც, ბუნებით დეკლარაციის ხასიათისანი არიან და ერთგვარად შემავსებელ მასალას წარმოადგენენ ვაჟას მოქალაქეობის დასადგენად. ამგვარ ლექსად მიგვაჩნია — „მე შენი ტრფობით ვერ გავძეხ“, რომელიც ვაჟას თავისი სიცოცხლის უკანასკნელ, 1915, წელს აქვს დაწერილი და საქართველოსადმი არის მიმართული. ამ ლექსში ვაჟა საყვედურს გამოთქვამს სამშობლოსადმი, მაგრამ ამ საყვედურში სიყვარულის ძლიერი ნაღვერდალი დევს.

მე შენი ტრფობით ვერ გავძეხ,
შენ — ჩემი სიძულვილითა.

თუ ეს სტრიქონები ერთგვარად გულს გვიკლავენ, გვამხნევებს და გვახარებს ვაჟას განცხადება, რომელიც იქვე, მომდევნო სტრიქონებში აქვს გამოთქმული:

ვერ გიღალატებ მაინცა,
თუნდ ხორცს ვიგლეჯდე კბილითა.

გულდაკოდილი ვარ შენგანო — მამულის მისამართით ამბობს ვაჟა. ვიკითხოთ, ჰქონდა რაიმე თუ არა ვაჟას ცხოვრებაში გულდასაწყვეტი? — მრავალი რამ! დარწმუნებული ვართ, მკითხველები კარგად იცნობენ ვაჟას ბიოგრაფიას, მაგრამ მისი ცხოვრებიდან რამდენიმე მაგალითზე მაინც მივუთითებთ: ქართული პროზის მშვენება „შვილის ნუკრის ნაამბობი“ სამი წლის განმავლობაში ვერ ეღირსა დაბეჭდვას, ხოლო დაბეჭდვის შემდეგ, ზოგიერთებმა პრესაში სუსტ ნაწარმოებად შეაფასეს; მთელი სიცოცხლის განმავლობაში უხდებოდა ვაჟას ტანჯვა ლუკმაპატრის მოსაპოვებლად.

ერისადმი სამსახურს ვაჟა ძნელად სატარებელ წმინდა ტვირთად თვლიდა. და აქის გამო იყო, რომ ითბის მოთმინებასა და სალი კლდის სიმტკიცეს იჩენდა:

შენი ვარ დიდი ერთგული,
ვერვინ შემხედავს იქვითა.
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
თუნდ შხამს მასმევდე ჯიხვითა!

აი რამდენად დიდი ძოქალაქეა ვაჟა, რარიგად მაღლა აყენებს სახოგადოებრივს პიროვნულთან შედარებით!

განა სასიხარულო ამბებიც არ შეხვედრია ვაჟას ცხოვრებაში? — როგორ არა! მის ზოგიერთ თანამედროვეთა ყველა სიხარულს მარტო ის გადასწონიდა, რომ დიდმა ილიამ მის წინაშე თავი დახარა, — უკვდავებისკენ გზა დაულოცა; ილიას თანამედროვე კიტა აბაშიძე ამბობს: „ილიამ კი თავიდანვე იცნო თავისი მოწაფე და იმდენად გატაცებული იყო თავისი მუზით, რომ მას წინამე ქედი მოიხარა“. ვაჟას ბიოგრაფების ცნობით, ვაჟასათვის ცნობილი იყო ილიას შეხედულებანი მის შემოქმედებაზე, ეს, თურმე, დიდად ახარებდა მას და გამხნევებულს არც გადაუხვევია ამ გზიდან, რომელზედაც თავიდანვე „ეკალი ეყარა“.

ამ გზისკენ ერთნაირი გატაცებით გაეშურნენ ვაჟა-ფშაველასა და ბარათაშვილივით ხელმოკლე ადამიანები და ბაიროვნივით, პუშკინივით, ილიასა და ლერმონტოვივით შეძლებულნიც; ამ გზისკენ ჭეშმარიტი შემოქმედნი მატერიალურ სიღარიბეს კი არ მიჰყავს, არამედ სულიერ სიმდიდრეს.

სამშობლოს სიყვარულის გამომხატველი ბრწყინვალე ლექსი, რომელსაც „სიმღერა“ ეწოდება, ვაჟას ახალგაზრდა მგოსნებისათვის ნიუძღვნია. ამ ლექსშიც ვაჟა თავის წმინდა ფიქრებს გვიხსნელს; სამშობლოზე ფიქრები — ტკბილი თუ მწარე — ისე აახთებს, ისე აღაგზნებს, რომ ამ დროს ვაჟა ტრაგედიის საყვარელი მხატვრული გმირი უფრო გვგონია, ვიდრე რეალური ადამიანი.

ხარს ვგვეპარ ნაილალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ;
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!
მძინარიც ამას ვდუდუნებ.

იქვე, ამ პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ სტრიქონებს ზოსდევს დაჩაგრული ადამიანებისადმი დიდი საყვარულის გამომხატველი სტრიქონები.

საწყალთ საწყლობა რომ მესმის,
იმათ ვარამზე ვწუწუნებ;
არცოოს უსაქმო არა ვარ,
მუდამ ვკოწიწობ, ვჩუჩუნებ,
ცოტა მაქვს, ცოტას ვჯერდები,
ბეჩავთაც გავუზიარებ,
სიკეთისათვის სიკეთეს
არავის დავუგვიანებ.

როგორც ვხედავთ, ვაჟას სულში, სამშობლოს სიყვარულთან ერთად, კლასობრივად დაჩაგრული ადამიანების სიყვარული ბუდობდა.

ვაჟა-ფშაველა, თავის კრედოს სხვა ლექსებშიც ამყოვანებს; აი რას აკადებს ის მგოსანს:

მითხარ, ვის უთქვამს ბიჭობად,
დამჩაგვრელებსა სწყალობდე?
აბა ბიჭობა ის არი,
დაჩაგრულთათვის სწვალობდე.
არცოა ბიჭობა ეგ არი,
მაძღარი მღერდე, ჭგალობდე,
თავი მოგჭონდეს სხვებზედა
და ამის გამო გვძალობდე.
მგოსნობას არვის აცლიდე,
მუდამ ჭკვეხდე და ცხარობდე.
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,
მშიერ-მწყურვალივ ჭგალობდე.

ვაჟას არ სწამს იმ ადამიანის ლექსები, რომელსაც მოქალაქეობა აკლია; ლექსებს, და ყველა სახის შემოქმედებას, ორგანულ ნაწილად მხოლოდ იმ ადამიანს უთვლის, რომელიც, ამავე დროს, კეთილშობილი მოქალაქეც არის. ბუნებით პოეტური ნიჭით მომადლებული კარგი მოქალაქისათვის ლექსების წერას ვაჟა იმდენად ბუნებრივ მოვლენად თვლის, როგორც ფოთლებს ხისათვის, და უკვირს კიდეც, როდესაც პოეტს, ლექსების გამო, მადლობას ეუბნებიან. „კაცს სწყუროდეს, წყურვილი მოიკლას, ამისათვის რა მადლობის ღირსია? მეც, არც მეტი, არც ნაკლები: მწყურია და წყურვილს ვიკლავ, მადლობა რად მეკუთვნის? მემღერება და ვმღერი!“ უთქვამს ვაჟას მის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე ქუთაისში. თუ კარგად დავუკვირდებით ამ განცხადებას, ვიგრძნობთ, რომ ის ჭეშმარიტი პოეტის ბუნების გამომრკვევი, ბრძენი ადამიანის სიტყვებია!

მხატვრული ნაწარმოებების აღმომცენებელ და მაცოცხლებელ ნიადაგად ვაჟას ადამიანის სულიერი განცდანი მიიჩნდა, ამას მარტო ლექსებში კი არ ამბობს, არამედ თეორიული ხასიათის წერილებშიც. ვაჟას ნათქვამი აქვს: „იგია ნიჭიერი მწერალი, ვინც რასაც თავად გრძნობს და ფიქრობს, აქვს უნარი სხვასაც ისე აგრძნობინოს და აფიქრებინოს“. ამავე აზრს მეტად შთამაგონებლად გამოთქვამს ვაჟა იმავე წერილში „ნიჭიერი მწერალი“, რომელშიც ამბობს: „ვისი სიცილიც ნამდვილი ბუნებრივი, მართალი სიცილია და ვისი ტირილიც, ცრემლი ნამდვილი ცრემლია და არა რაღაც წყალ-წყალა სითხე, — ვისაც, როცა უკანასკნელი წამი დაჰკრავს და სამარეში ჩაეშვება მწერლის გვამი, ჩანვი თან ლოცვა-კურთხევას ჩააყოლებს და არა სამდურავსაც: ყალბი იყავ და ყალბად მაყღერებდეო!“.

ამგვარი ფიქრებით ცხოვრობდა ვაჟა, ხალხის სიხარულსა და მწუხარებას იგი მუდამ ისე განიცდიდა, როგორც საკუთარს, — ამის გამო შექმნა მისმა უბადლო ნიჭმა ისეთი უკვდავი ნაწარმოებები, როგორიც არის: „გველის მჭამელი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“, „სისხლის ძიება“, „შვილის ნუკრის ნაამბობი“, „მთანი მაღალნი“ და სხვა, ვინ მოთვლის, რამდენი.

მრავალი დაბრკოლება შეხვედრია ვაჟას სიცოცხლეში (სამწუხაროდ, სიკვდილის შემდეგაც), ბევრჯერ გაუწირავთ იგი, სასიკვდილოდაც გაუმეტებიათ, მაგრამ პირიქით მოხდა:

დაკრული სარგოდ მომიხდა,
თუმც სამავნებლოს ეცადა.
რამდენიც დამკრა, იმდენი
მე ავიწია ზეცადა.
ადამიანად ვისახვი,
მგმობლები დარჩნენ მხეცადა,
და დავდეგ ცა-ქვეყნის შუა
ქედმოუდრეკელ სვეტადა.
მორჩა, ვეღარვინ შემმუსრავს,
რაც უნდ ეცადოს მეტადა.

ახდა ვაჟას წინასწარმეტყველება... კაცობრიობის ცაზე ის ვარსკვლავივით აენთო ქართველი ერის პატიოსანი და შინაარსიანი ცხოვრების გამოსაბრწყინებლად.

ვიქტორ გაბესკირია.

ვაჟა თავის ვაჟიშვილთან ერთად. (1914 წ.).

ქვეყნდება პირველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ა ჟ ა ს

ლექსო, დამწვი და დამბუგე,
გულიდან ამობრიალდი,
შთაბერე პწკარს სიჭაბუკე,
ფშაველას ცეცხლი დიადი.

ვაჟამ გამიტკბო კავკასი,
მთები — ზურმუხტის დევები.
პეშვით ვსვი წყარო კასკასი,
ძალას ვგრძნობ, ვეფხვსაც შევებმი.

ცვარს მარგალიტად ვამძივებ,
მიმაქვს ბალახი შვლის ნუკრთან.
ალმასის ცრემლად ვაწვიმებ
ღრუბლებს, ქედებზე მიკრულთა.

ვუგალობ რძისფერ ჩანჩქერებს,
ჩამოქუხს ღვარი ბროლისა.
არწივს გრიგალთან აძგერებს
ჟინი მყინვარზე სრბოლისა.

კლდეს ნაკადული ჰკიდია,
უხდება ვერცხლის ქამარი.
ლექსი კი დროის ხიდია
ერის მზით ნაკამკამარი.

ვსაუბრობ ჩიტთან, ფოთლებთან,
ლამის გადვიქცე მინდიად.
გავკივი, რა მათრთოლებდა,
ირმები საით მიდიან...

ფიქრში ჩამოდგნენ ნისლები,
ბახტრიონს როდი ბურავენ.
სვავების სისხლით ვისვრები,
მტრის ჩეხვით ხმალს ვაპურადებ.

ვერაგთა ეუფვა რო მერგო,
დროშას ვწევ ზეცის კარამდი.
სამშობლოს ტრფობით მომერგო
ზეზვაის ფარ-მუზარადი.

ვტრიალებ მგოსნის გმირებთან,
ვიგებ ვაჟკაცთა ღია გულს.
ფშაველას დრო ატირებდა,
სული კი ძრავდა იალბუზს.

ჩარგლის მზერაში დაიწვის
მეხის ნაპერწკლის მომტაცი,
სიტყვას ღვენთავდა ჭრაქის წინ
ქართული ლექსის ლომკაცი.

ხან წიწამურის ტყესთან ვარ,
ფანდურს მიეღერებს მზექალი:
— ვაჟას წინაპართ კვნესამა
ტანზე აასხა ეკალი.

მაინც ხმაურობს არაგვი
თეთრი, შავი და ფშავისაც.
მთა, ყვავილებით ნაქარგი,
დედაა ლანქერ-ზვავისა.

მზემ შარავანდი მოფინოს,
გაუპოს ღრუბლის ბეგთარი...
ძარღვში გაუჯდეს მსოფლიოს
ვაჟას პწკარების ნექტარი.

ვაჟა იმ დედის შვილია,
ვისაც რძე ჰქონდა ქართული.
ვაჟასებრ მხარგაშლილია
ეს მთები, ცადამართული.

ვარლამ ეურული.

როგორც მახსოვს...

„იას ბნელ ხევში მოსულსა,
დიდი ჭადარი ჰფარავდა,
ეწყვა ბეჩავს სიცოცხლე,
წადილს აღარა მალავდა“,

— იცი, ია ვინ არის?
— ვინა?
— საქართველოა!
— ჭადარი?
— ?!

გვიყვარდა ვაჟას ლექსები და ხშირი იყო ტოლებში, ჯერ კიდევ პირველ-მეორეკლასელ მოწაფეთა შორის ასეთი საუბარი.

ქართული გიმნაზიის მოწაფეთა შორის ვაჟა-ფშაველა, ილიასა და აკაკისთან ერთად იხსენებოდა. ჩვენი აღმზრდელები ლ. ბოცვაძე, პ. მირიანაშვილი ყოველთვის დიდი სიყვარულით ლაპარაკობდნენ ვაჟაზე.

ვაჟას უფროსი შვილი ლევანი და ძმისწული პაველე (ბაჩახას ეძახი) ჩვენს სკოლაში სწავლობდნენ. ლევანი უფროსი იყო, პაველ და ბე კი ერთ კლასში ვიყავით. ვაჟა ქართულ გიმნაზიაში რამდენჯერმე მოვიდა. ელვასავით გავარდებოდა ხოლმე ხმა, ვაჟა აქ არისო.

ჩვენც შორიახლოდან ვუმზერდით მას, მხარბეჭიანს, დარბაისელს, შავგაზიანებულს, პირდაპირ და ჯიქურ მომზერალს. მოწაფეებში ზოგი გოგოთურს ადარებდა, ზოგი ალუდას, ზოგი მინდიას.

1912 წელს მე და ჩემი უმცროსი ძმა შაქრო შინ მოვიდოდა შეგვიკედლა. მასთან ვცხოვრობდით. მამას, რომელიც შიოს დიდი მეგობარი იყო, სოფლიდან ჩამოჰქონდა სახრდო, რაც ჩვენ შესანახად სამერო იყო. შიოს მაშინ სამსახური არა ჰქონდა, შემთხვევითი სამუშაოთი გადიოდა იოლად. უფრო ხშირად კორექტურას აკეთებდა.

ერთ დღეს, სკოლიდან რომ დავბრუნდი, შევაღე ჩვენი პატარა ოთახის კარი და ქუჩისკენ მდებარე ოთახიდან ხმამაღლა ლაპარაკი შემოესმა. გავიხედე — სუფრას სტუმრები უსხდნენ.

— ძმისწულო, მოდი აქ! — გამომძახა შიომ.

გავედი... სუფრას უსხდნენ: შიო მოვიმეელი, ვაჟა-ფშაველა, ივანე ბექურაული და ორი კიდევ სხვა. შევკრთი, ვაჟა, ქართველი გიმნაზიელების საყვარელი პოეტი, დიდი ქართველი პიროსპირ შემხვდა. შეკრთომა გაძლიერდა, როცა მაგიდაზე დავინახე ჩემი რვეული, რომელსაც ლეონის ქვეშ ვინახავდი ხოლმე. საქმე ის არის, რომ იმ დროს გადაწყვეტილი მქონდა დღეში ორი ლექსი დამეწერა და ვწერდი კიდეც. ახლა კი შიოს და ვაჟას უდგეთ წინ. როგორ არ შევკრთებოდი?

— ეს არის მოლექსე? — ვაჟამ თავზე ხელი დამადო.—არა, ძმისწულო შენგან მოლექსე არ გამოვა. აგერ ამ ამბავს კი არა უშავს რა...

მე ფერფური მიმდიოდა, აღარ ვიცოდი რა მექნა.

— აბა მოსვი ღვინო, ჩემი ძმის ნიკოს (მამაჩემი) სადღეგრძელო დავლიეთ და სამადლობელი შენზეა. კარგახანია არ მინახავს...

მე დავტაცე რვეულს ხელი, გამოვეარდი ჩემს ოთახში, მივხტარე კარი, ნაკუწნაკუწად ვაქციე რვეული და დავიწყე მწარედ ტირილი. კარგა ხნის შემდეგ გამოვიდნენ, მამშვიდებდნენ და იცინოდნენ. დავიტირე ჩემი ლექსები. ამის შემდეგ ლექსები არ დამიწერია.

1913 წლის შემოდგომაზე ფეიქრის გორაზე, ფურცელაძის სახლში ვცხოვრობდით. დედამ ორი თუ სამი ოთახი დაიქირავა, ყველა და-ძმა (შვიდი) ერთად ვიყავით.

სკოლიდან შინ რომ მოვედი, სასადილო ოთახში ვაჟა, შიო და მამაჩემი დამხვდნენ. შიომ შემომანათა თავისი ჟუჟუნა თვალები და მომხვია ხელები.

— ოო... მტირალა ვაჟკაცს ვახლავარ! — შემომგება ვაჟამ. — შიომ მაჩვენა შენი ნაწერი „ნაკადულში“. ეგრე სჯობს... (სწორედ იმ ხანებში დაიბეჭდა ნაკადულში ჩემი პატარა მოთხრობა).

მე ალმური მედებოდა სირცხვილისაგან. ამ დროს შემოირბინეს უმცროსმა და-ძმამ და მიხსნეს. მე კიდევ კუთხეში მივჯექი და ვტკბებოდი ჩვენი ორი საყვარელი მწერლის მზერით.

მალე გაიშალა სუფრა. ერთი-ორი კაციც შემოგვემატა, და ქართულ სუფრას მეტი რა უნდოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ვაჟამ გადმოგვხედა ჩამწკრივებულ ბავშვებს და წამოდგა.

— ჩემო ძმავ, დამისხი ღვინო! — ცოტა გაჩუმდა, ჩაახველა. — ჩემო დო, ჩემო რძალო, —მიმართა დედაჩემს, — დაზე უტკბესო, ჩვენო ქართველო დედაო, შენ და შენისთანები გვირგვინია ჩვენი ქვეყნისა. ჯარასავით რომ ტრიალებ და ამდენი ქართველი ქვეყნისათვის შეგიმატებია—ხელი გამოიშვირა ჩვენკენ — იცოცხლე ქვეყნის სასახელოდ. დალია, დაჯდა. კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. მის თვალში დღემდე ცრემლი მახსოვს.

ცოტა ხნის შემდეგ შიომ წამოიწყო ჩვენი სადღეგრძელო და სადილი თავის კალაპოტში ჩადგა.

ამის შემდეგ ძამაჩემმა და ვაჟამ თითქოს ხუმრობით, თითქოს მართლა პირობა დადეს და ამით ერთხელ კიდევ გამწარეს.

„მემრის ჩარგალში ჩამოდი, შენი ბიჭებიც წამოიყვანე, მე გოგოები მყავს ბევრი, იქნებ ერთმანეთი მოუვიდეთ თვალში და უფრო დავმოყვრდეთ. მეც ქართლში ხშირად გეწვევით, ხან ჩეს ძმას თორტიზაში, ხან შენ ტყვიავში“.

— აბა, სიყრმისავ, — გამომძახა, იქნებ „არწივი“ თქვა. მე ხმა ვერ ამოვიღე, თვითონ წამოდგა და თქვა. ერუანტელმა დამიარა, რადგან ვაჟას ნათქვამში არწივი კიდევ უფრო მკვეთრად ჩანდა საქართველოდ.

1915 წლის ზაფხულში სოფელში გავიგე ვაჟას სიკვდილი. წავალ-მეოქი, ეუთხარი მამას.

— წადი, შვილო, შენ გასწე ჩემი მაგვრობაც! — და ამოოიხრა.

საღამოზე ჩავედი თბილისში. ქაშვეთის ეკლესიაში ესვენა. პანაშვიდი იყო, ქაშვეთის წინამძღვარი კალისტრატე ცინცაძე სწიოავდა.

ხალხი ბევრი იყო, უფრო ბევრი ეზოში.

მეორე დღეს დიდუბეში წაასვენეს. ცხელოდა. ხალხი, მიუხედავად ამისა, მაინც ბლომად იყო... არ იყო ალიაქოთი, აურზაური. ვაჟა დაასაფლავეს უხმოდ, ზედმეტი ზეიმზარის გაუმართავად, დასაფლავეს ისე, როგორც შეეფერებოდა რაინდს, რომელმაც დღენი სიცოცხლისა შრომასა და ბრძოლაში დალია.

ნიკო კეცხოველი.

ვ ა ჟ ა ს დ ღ ე ე ბ ი

△ ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ გენიალური ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავს.

ფაბრიკა-ქარხნებში და ახალმშენებლობებზე იმართება საიუბილეო საღამოები. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, კლუბებში, კულტურის სახლებსა და საუბნო ბიბლიოთეკებში მოეწყო ვაჟას ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენები. ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ეწყობა ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივი „ღინამოს“ სტადიონზე მრავალ მაყურებელს უჩვენებს ვაჟას „მოკვეთილს“.

საიუბილეო დღეებში მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილება გამოსცემს ვაჟასადმი მიძღვნილ ლიტერატურულ გაზეთს, გარდა ქუთაისისა, ლიტერატურულ საღამოებს გამართავს თერჯოლისა და მაიაკოვსკის რაიონებში.

26 ივლისს გაიმართება საქალაქო საიუბილეო საღამო.

* * *

△ ზესტაფონი. (საკ. კორ.). რაიონულმა ბიბლიოთეკამ და კულტურის სახლმა აქ გამართეს დიდი ქართველი მგოსნის ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

კულტურის სახლის დრამატულმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ვაჟას „ბახტრიონის“ ინსცენირება.

ზაფხულის პეიზაჟები





მძლავრად აცხუნებს ივლისის მზე. ჩამოცხა. ყველას შვებულებაში მიეჩქარება, ყველას მთისაკენ, ზღვისაკენ, სოფლისაკენ უბერავს თვალი. ქალაქში დარჩენილნი ბაღებსა და პარკებს ეტანებიან. თბილისელებს ასეთი ადგილები ბევრი აქვთ: ვაკის პარკი გნებავთ თუ ფუნიკულორის პლატო, თბილისის ზღვა თუ ლისის ტბა. ან იქნებ სტალინის სახელობის ფართო სანაპირო ქუჩით ისურვოთ გასეირნება შრიალა ბადრეების ხეივანში!

სწორეთ ეს მშვენიერი ქუჩაა გამოსახული ამ ჩანახატებზე, რომელიც ფანქრით არის შესრულებული ს. ჯინჯიხაშვილის მიერ.

ფოტოსურათზე კი, რომელიც ბ. დადვაძემ გადაიღო, ჩვენებური სოფლის ერთი კუთხეა აღბეჭდილი.

და თუმცა ეს ჩანახატები, ეს ფოტოსურათი დედნის მხოლოდ მკრთალი ანარეკლია, მაინც ამ სურათებიდანაც ნათლად ჩანს ჩვენი დედაქალაქის, ჩვენებური სოფლის სილამაზე და მშვენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიარაღებული კონფლიქტი ტუნისში

ტუნისი, 20 ივლისი. (საკდესი). უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში ბიზერტისა და ტუნისის სამხრეთ საზღვრების რაიონები საფრანგეთ-ტუნისის მწვავე კონფლიქტის ასპარეზია. ტუნისის მტკიცე გადაწყვეტილებაა უახლოეს ხანში მიაღწიოს საფრანგეთის ჯარების ევაკუაციას ტუნისის ტერიტორიიდან, მაგრამ საფრანგეთის მთავრობას არ სურს განიხილოს ეს საკითხი, რასაც მოჰყვა პირველი სისხლიანი შეტაკება. მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში ტუნისის ეროვნულმა გვარდიამ, რომელიც ასრულებდა ბრძანებას იმის შესახებ, რომ საფრანგეთის სამხედრო მოსამსახურეებს ეკრძალებათ გადაადგილება ტუნისის ხელისუფალთა წინასწარი ნებართვის მიუღებლად, დაიკავა საფრანგეთის 35 სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც მოდიოდნენ საფრანგეთის ჯარების განლაგებიდან. ტუნისის საჰაერო თავდაცვამ მიიღო ბრძანება ცეცხლი დაეშინა ყოველი თვითმფრინავისათვის, რომელიც ბიზერტის რაიონში გამოჩნდებოდა. ეს ბრძანება გაცემულ იქნა საფრანგეთის მთავრობის იმ გადაწყვეტილების შედეგად, რომ ბიზერტში თვითმფრინავებით გადაიყვანოს პარაშუტისტთა მაშველი ძალები. ტუნისელთა საზენიტო არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ერთ ვერტმფრინავსა და ოთხ სამხედრო თვითმფრინავს. საღამოს ფრანგი პარაშუტისტები გადასხდნენ ბიზერტაში, ხოლო ამის შემდეგ საფრანგეთის ავიაციამ დაბომბა ტუნისის ჯარების პოზიციები ბაზის გარშემო, რის შედეგადაც დაჭრილია 6 ტუნისელი, მათ შორის ორი — მძიმედ. საფრანგეთის მხრივ აგრეთვე არის მსხვერპლი: 30 ჯარისკაცი დაჭრილია, მათ შორის 10 — მძიმედ. საფრანგეთის სამხედრო ხომალდებმა მიიღეს ბრძანება შეავიდნენ ბიზერტის ტბაში. ტუნისის ჯარებმა თავის მხრივ მიიღეს ბრძანება არ დაუშვან ამ ხომალდების გავლა არხით ბიზერტის ტბაში.

ღამის განმავლობაში მოხდა სისხლიანი შეტაკება საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებსა და ტუნისელებს შორის ქალაქ მეაზელ-იურგიბაში, სადაც საფრანგეთის სამხედრო სახელოსნოებია. შეტაკების შედეგად მოკლული და დაჭრილია 50 კაცი.

ტუნის აფრიკა პრესის სააგენტო საფრანგეთის ავიაციის მიერ ტუნისის პოზიციების დაბომბვას ბიზერტაში ახასიათებს როგორც „აშკარა აგრესიას“. „1961 წლის 19 ივლისი, — ნათქვამია ტუნის აფრიკა პრესის სააგენტოს განცხადებაში ამ საკითხზე, — ისტორიაში შევა როგორც დღე, როცა საფრანგეთმა აშკარად ცხადყო თავისი სურვილი იბატონოს ქვეყანასა და ხალხზე, რო